# წიგნი ქართული სიტყვის ბაზიერზე

შესანიშნავად დაიწყო „ქართული სიტყვის ბაზიერის" გიორგი ლეონიძის სულიერი მეგობრობის მეორე ასწლეული. შემოქმედის საკრალური სიცოცხლის მარადიულობა დაადასტურა ემზარ კვიტაიშვილის ახლახან გამოქვეყნებულმა წიგნმა „ქართული სიტყვის ბაზიერი", რომელშიც თავმოყრილია მწერლისა და მკვლევარის 25 წლის მანძილზე შექმნილი წერილები, მიძღვნილი მისი უსაყვარლესი პოეტის ჭეშმარიტად განუმეორებელი მხატვრული სამყაროსადმი. საბა ბაზს უწოდებს მევარდენს, გავაზს, ქორს, მიმინოს, ხოლო ნემსიოს ემსელი „ორბად სახელ-სდებსო", ბაზიერი კი მათი პატრონი და მწვრთნელია. ემზარ კვიტაიშვილის წიგნის სათაური უკვე პოეტურია, იგი სიმბოლურია გიორგი ლეონიძის უტყუარი ალღოსი ქართული ენის მდიდარი მინაგანი ბუნების მიმართ. მისი პოეზია და პროზა ხომ ქართული ენის უკიდეგანო შესაძლებლობებსა და სიმდიდრეს წარმოაჩენენ. მას ქართული სიტყვის განცდა თავისი დიდი სულიერი წინაპრის – სულხან-საბა ორბელიანის დარად შეეძლო.

გიორგი ლეონიძე მხატვრულ ფერთა სიმრავლითა და ბარაქიანობით გამორჩეული შემოქმედია, რომლის მთელი მემკვიდრეობა სიცოცხლის სიხარულისა და სულიერი სიჯანსაღის გამოხატულებაა. მისი ყოველი პოეტური სიტყვა, ყოველი პოეტური ფრაზა განუმეორებელ ხურნელს აფრქვევს და ქართული ორნამენტივით ამკობს ჩვენს მწერლობას. ემზარ კვიტაიშვილი, თავად ჩინებული პოეტი და ღრმა მკვლევარი, იშვიათი ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული პიროვნება, მკითხველის თვალწინ აცოცხლებს გიორგი ლეონიძის პოეტურ სახეებს, რომლებიც პირველქმნილი ელვარებით ბრწყინავენ და მინაგანი მუსიკალური ქღერადობით ავლენენ მის უსაზღვრო შემოქმედებით შესაძლებლობებს.

ემზარ კვიტაიშვილის წიგნში ყოველი წერილის სათაური საგანგებოდაა შერჩეული: „ქართული სიტყვის ბაზიერი", „მარად მწყურვალე", „სიმარტოვის ულამაზესი სიმღერა", „სამშობლოს ჩუქურთმისმჭრელი", „უკვდავებაში ლექსები შეუძღვნენ", „პოეტის გული", „გიორგი ლეონიძე – წიგნის ტრფიალი", „პოეტი და უკვდავება". ყოველი მათგანი პოეტის არცთუ ხანგრძლივი ამქვეყნიური ცხოვრების წარმოსახვისა და სულიერი მემკვიდრეობის შეცნობის წარმატებული მცდელობაა. გიორგი ლეონიძის გვერდით გატარებული სამი წელი ავტორისათვის ცხოვრების, ადამიანური ურთიერთობების, სიყვარულის, იმედისა და რწმენის მასწავლებელი და გზამკვლევი იყო.




ამ განწყობილებას უზიარებს იგი მკითხველს, რომლისთვისაც აუცილებელი უნდა იყოს მისი გაცნობა გიორგი ლეონიძის, საოცრად მომხიბლავი პიროვნების, ადამიანური ბუნების შეცნობა მისივე ფერადოვანი და მეტაფორული მემკვიდრეობის უკეთ საწვდომად და წარმოსადგენად. საკუთარ ფესვებში ღრმად ჩაძირული პოეტი იშვიათი პოეტური სახე-სახეებით გვესაუბრებოდა სამშობლოზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, სამყაროს მშვენიერებაზე – ყველაფერზე, რაც კეთილშობილი ადამიანის ფიქრსა და გონებაში შეიძლება გაჩნდეს.

იშვიათია პოეტი, რომელიც ისეთი სიღრმითა და სიდიადით წარმოიდგენს თავის სულიერ წინამორბედებს, როგორც ეს შეეძლო გიორგი ლეონიძეს. მათ შორის ბრწყინავს სახელი შოთა რუსთაველისა, რომლის მხატვრული აზროვნების, გამომსახველობითი საშუალებების, რემინისცენციების შემოქმედებითად გარდაქმნით იმორჩილებს დროისა და სივრცის უსაზღვროებას, უკიდეგანობას. ემზარ კვიტაიშვილი თვალნათლივ წარმოაჩენს გიორგი ლეონიძის თაყვანისცემას „ვეფხისტყაოსნისადმი", როგორ სულდგმულობდა პოეტი ერის უპირველესი საუნჯით და როგორ შეიგრძნო მარადისობაში გადასვლის მოახლოება სწორედ „ვეფხისტყაოსნით". „ყვავილის პაემანი" რუსთველური მოტივებითა და რემინისცენციებით გაჯერებული სიტყვებით დაასრულა:

**ვარდის ფურცლობის**
**ნიშანი არის**
**და დრო ახალი პაემანისა!**

... იგი მეტაფორულადაა გასააზრებელი, ვინაიდან მიანიშნებს საუკუნეთა შემდეგ მონათესავე სულთა შეხვედრის მოლოდინს, ადამიანის სულის მარადიულობას, განახლებას, ეითარცა ორბისა. ემზარ კვიტაიშვილმაც იქნებ ამიტომ უწოდა თვით გიორგი ლეონიძეს ბაზიერი. ეს წიგნი გვახწავლის, თუ როგორ შესტრფოდა და შეაზხაროდა გიორგი ლეონიძე ქართული პოეტური სიტყვის სიდიადეს; გიორგი ლეონიძეს ღრმად სწამდა ქართული ლექსის უკვდავება. სწამდა, რომ ამ ქვეყნიდან მისი ფიზიკური წასვლით, გარდაცვალებით დაიწყებოდა მისივე შემოქმედების საკრალური, მარადიული სიცოცხლე. რაც ცხოვრების მიმწუხრს დაწერილი ერთი უსათაურო ლექსით გაგვიმხილა:

**ადამიანს ვაზვებს**
**დახვავებათ ოქრო,**
**დიდება, რაც მთებს**
**დამვერცხლებიათ,**
**ვინ იჯადოქროს?**
**უკვდავების დღეს**
**მხოლოდ ლექსები**
**დაესწრებიან.**

მართლაც მესამე ათასწლეულის დამდეგიდან გიორგი ლეონიძისათვის, მისი ღრმა, ქართული პოეტური ტრადიციებიდან მომდინარე ფერხულოვანი სულიერი მემკვიდრეობისათვის უკვე დამდგარა „დრო ახალი პაემანისა" და უკვდავებისა, რასაც ასე ჩინებულად წარმოგვიდგენს ემზარ კვიტაიშვილი.

ვფიქრობ, ემზარ კვიტაიშვილის წიგნი ყველა ასაკის მკითხველს დააინტერესებს და განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ახალგაზრდობისათვის. იგი გამოდგება დამხმარე სასწავლო მასალად უფროსკლასელთათვის.

**ნესტან სულავა,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**